

მწყმესი



მე ვარ მწყმესი კეთილი: მწყმესიან კეთილმან სული თვის დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
მზოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-ამიძენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 21

1883—1900

15 ნოემბერი.

რედაქციისაგან.

რედაქცია მორჩილად სთხოვს მათ, ვისაც ჯერეთ კიდევ არ შემოუტანია ჟურნალის „მწყმესი“ ფულები, დაუჩქარონ გამოგზავნას. მომავალი წლის ხელის მომწერთ ურჩევთ ისარგებლონ კვლანდელი აწსებული ფოსტის წესით. დღეს ვეკლას შეუძლია ფულა წარადგინოს ფოსტაში და სამ მაურად გაიგზავნება, სადაც სურთ. ამ წესით ფულის გაგზავნა საადვილო და იაფია. ფოსტის წერილების ბლანკზე უნდა იყოს სრული ადრესი ფულის გამგზავნის ან ჟურნალის დაბეჭდვისას.

ვაენათის მონასტრის შეკეთება-გამშენების საჭიროება.



ომელი ქართველთაგანი ვაენათის მონასტრის დანახვად არ აღივსება მწუხარებითა და არ იტყვის: „რა ხალხი ვართ, ასეთი დიდებული ნაშთი რა ნიარ სატირად მღვდობარობაშია, და ჩვენ კი მას ყურადღებას არ ვაქცევთ!“, ვაენაფი ყოველ შეგნებულ ქართველისათვის დიდად ძვირფასი და სათაყვანო უნდა იყვეს; ის არის ცხადი ნიშანი, რომ ჩვენ გვექონია ისტორია, შესანიშნავი წარსული, რომ ჩვენ არ ვყოფილვართ მოკლებული ნიქს, შემოქმედებით ძალას,



და გეჰონია კულტურა, განათლება—მწიგნობრობა ცოდნა—ხელოვნება- ის არის ჩვენი დამაკავშირებელი მამა-პაპებთან, მათ აღვივებენ იგი, შეგვიძულებს და გადმოგვცეს; ისინი მასში ლოკულობდნენ, ავერღებდნენ უფალს თვის თავსა და მოძმეთა; და ჩვენ მხოლოდნი ამ სახელოვან ადგილისა, ვისენიერთ მათ სიყვარულით, მადლობით და ქება-დიდებათ. ის არის წმიდა ადგილი; იქ აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსი და გაენათელი ტრაპეზის წინაშე აღაპყრობდენ თვის ხელსა მაცხოვრისადმი და გამოითხოვდენ ბედნიერებას ერისათვის; იქ იღვწოდნენ მრავალნი წმიდანი მოლაზონნი. ის არის წმიდათა წმიდა მთელის საქართველოსა. და ესეთი დიდი საგანი ღღეს ჩვენგან მივიწყებულა; ის იქცევა, მასში წვეთი ჩამოდის, კედლები ინგრევა, მხატვრობა წაბლალუო-დასახიჩრებულა, მორთულობა ძლიერ ღარიბულა, მონაზონთა რიცხვი ფრიალ მცურეა, არ ისმის მასში სულის დამატკობელი, აღმამფრთოვანებელი და ღვთისადმი აღმყვანელი საეკლესიო გალობა. ასე დამცირდა ლაუკანასკნელდა ერთ ღროს დიდებული გაენათის ტაძარი.

გასაოცარია, როგორ შევიცვალენით და დავკარგეთ ყოველივე მსგავსება ჩვენ წინაპრებთან, რომლებიც თვის მოვალეობად რახდნენ აღეშენებიათ და გაველიდრებიათ ეკლესიებში და ხელი შეეწყობათ მონასტრულ ცხოვრების წარმატებისათვის, დიდი სირცხვილია ჩვეთვის, რომ ესრეთ დაუღვარანი ვართ და არ ვიცავთ მოსპობისაგან მას, რაც ჩვენ წინაპრებმა დაგვიტოვეს. და ამიტომაც დაგვიცინიან უცხოელნი, რომ ვერ ვფასებთ ძველთ განძთა და გულგრილად შეესტკერით, როგორ გვეცლება ისინი ხელიდან. გარნა, ღროა გამოფხიზლდეთ, შევივრთო და გავასწოროთ ჩვენი დანაშაულობა. გაენათის მონასტერი განსაკუთრებით (ახალი ან კრადენ) სათაყვანო უნდა იყოს იმერეთის ეპარქიის მკვირთათვის, და ამიტომ მის შეკეთება-გამაგენებისათვის უმთავრესად ამათ უნდა იზრუნვონ. იმერლებს, რასაკვირველია, ამ დიდ საქმეში წინ გაუძღვებია ის, ვინც მათ სათავეში სდგას, ე. ი. ახლად დანიშნული ენტიგოთი, სიცოცხლით და დიდოღურ ლტოლივლებით აღსავსე მწყემსთ-მთავარი, ყოვლად სამღვდლო ლეონიდე. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მათი მეთუფება არ დაიზარებს, ხელს მოკიდებს მაგრად ამ საქმეს, ყოველივე ღონისძიებას

ისმარს და თვის მიერ დაწყებულ საქმეს ჯგროვანად დაავიჯოვინებს. გაენათის მონასტრის შეკეთება-გამაგენებისათვის, სულ უკანასკნელი როგორც ვთქვათ, საქირაა 100 000 მანეთი. ეს თანხა სასურველია მოგროვდეს ისევე ჩვენ შორის, რათა უცხოელთა დამუტკიცოთ, რომ თუმა ჩვენ ნითვისრად აღეშენებულნი ვართ, მაგრამ გვესმის წმიდა ადგილების მნიშვნელობა და მათთვის თავს არ ვზოგავთ. მაგრამ როგორ უნდა მოგროვდეს შემოხსენებული თანხა? მღვდელ-მთავარმა ბლაღოჩინებს და დეპუტატებს საგარეო კრებაზედ ზუნდა განუშარტოს გაენათის მნიშვნელობა და საქირება მის განახლებისა, და დაავალოს მათ და მათთან ერთად მთელ სამღვდლოებას, მოეხმარონ მას მის სურვილის განხორციელებაში, ილონონ როგორმე და საკმაო ფული შეკრიბონ. ბლაღოჩინები და დეპუტატები საბლაღოჩინო კრებებზედ გამოუცხადებენ მღვდლებს ებისკოპოზის სურვილს და შეაგულიანებენ მათ ამ საქმეში დახმარებისათვის. მღვდლები თვის სამწყსოებს აუხსნიან, თუ რა არის გაენათი ქართველი კაცისათვის, რა კულ მღვდმარობაშია იგი ახლა, ეტყვიან რომ ჩვენ მოვალენი ვართ დავიცვათ, განვაახლოთ იგი, რომ ამისთვის საქირა საშუალება, რომ არ უნდა დავიშუროთ ამ კეთილ სახელოვან საშვილის უფლო საქმისთვის თვის წელიწადი. მღვდლებმა უნდა უქადაგონ ხალხს ამ საგნის შესახებ ეკლესიაში და კერძო ლაბარაკშიდაც, ერთი თვე, თუ გინდ მთელი წელიწადიც; და დაბოლოს არ შეიძლება არ დაიყოლიონ იგი და კომლზედ თითო მანეთი მიინც არ გამოაღებინონ. მაშინ იმერეთის ეპარქიაში: ქუთაისის, შორაპნის, რაქის და ლეჩხუმის მაზრებში, რომლებშიც 1886 წლის აღწერილობით 62, 360 კომლი ითვლება, ხლოო ახლა 63 000 მანეთი. იმერეთში რასაკვირველია ასე კარგა შექმლებული თავად-აზნაური უსათუოდ მოიპოვება, და ისინი არ დაიშურებენ თითო თუმანს და მათ შემოწირულებიდან შესდგება 1000 მანეთი. მღვდლები იმერეთის ეპარქიაში საშუალო რიცხვით 500 კაცი იქნება, და ამათ რომ ხუთ-ხუთი მანეთი გადაიხადონ, მათგან შემოვა 2500 მანეთი; მედავითნებებმა რომ ორ-ორი მანეთი გადაიხადონ, მათგან შემოვა 1000 მანეთი, სულ მღვდლებისა და მედავითნებისაგან შეგროვდება

3500 მანეთი. ამნაირად ზემოაღნიშნულ წყარო-
ზიდან შესდგება 66,500 მანეთი; გაენათის ტაძრის
განახლების საქმეში, რა ოქმა უნდა, მონაწილეობას
მიიღებენ საქართველოს სხვა-და-სხვა კლთხეების
მცხოვრებნიც; მაგალითად მკვირცხლი, გონიერი
და გრძობიარე გურულუები ყველაზედ უპირველეს
გაუწოდებენ იმერლებს დახმარების ხელსა; ქართლ-
კახეთიდანაც ბევრი შემოწირულება წამოვა. კიდევ
იმედი უნდა გვქონდეს; თბილისის და ქუთაისის
სათავად-აზნაურო ბანკები ათი-ათას მანეთამდე გა-
დასდებენ ამ საქმისათვის. აგრადვე ჭიათურაში შავი
ქვის მწარმოებელთა ამხანაგობა არა უნაკლეს ხუთი-
ათას მანეთისას შემოსწირავს. ამას გარდა, უნდა
დაარსდეს საზოგადოება, რომელსაც მიზნად უნდა
ექმნეს გაენათის მონასტრის შეკეთება-გამშენება.
ამ საზოგადოების წევრები სამ რიგად უნდა იყვნენ
დაყოფილნი; პირველი ხარისხის წევრებმა უნდა
იხადონ ყოველ წლივ თითო თუმანი, მეორისამ—
ხუთი-ხუთი და მესამისამ—სამ-სამი. ასე რომ ხუთი
წლის განმავლობაში ღვთის შეწევნით შეგროვდება
საკმაო ფული და შესაძლებელი ექნება გაენათის
მონასტრის სასურველ მდგომარეობაში მოყვანა, და
მით ავიცილოთ თავიდან სირცხვილსა. ღმერთმა
ინებოს მოვესწროთ ამ დროსა!

კატახაძე.



**ზორაანის საბლადოჩინო ოლქის სამღვა-
ლოების კრება დაბა ჰვირილაში ოქტომბრის
12-სა 1900 წელსა.**

შორაანის საბლადოჩინო ოლქის სამ-
ღვდელოების კრება მოხდა დაბა ჰვირილაში
ოქტომბრის 12-ს რიცხვს. კრება თუთი ბლა-
დოჩინის დეკანოზის სახლში იყო. ეველა
მღვდელები გარდა ორისა და მედავითნენი გა-
მაცხადდნენ. კრებას უნდა მოესმინა მთავრო-
ბის სხვა-და-სხვა მოწერილობანი, უნდა აერ-

ნია დეპუტატები და განეხილა მამა მელიტონ
კელენჯერიძისაგან შედგენილი ახლად დასაარ-
სებელი მშობის წესდების პროექტი. ზირფე-
ლად რუსულად იქმნა წაკითხული მშობის
წესდების პროექტი და შემდეგ ქართულად გა-
აკებინეს მათ, რომელთაც რუსული არ ეს-
მოდათ. ეთველის მხრით გასინჯეს ეს პრო-
ექტი, მაგრამ კრებამ ერთხმად უარი განაც-
ხადა ამ პროექტის მიღებაზე. ის წყარონი
შემოსავლისა, რომელნიც პროექტში არიან
დასახლებულნი, სამღვდელოებამ იცნო ბეუძ-
ლებლად და წინააღმდეგე კანონისა. დეპუტა-
ტები აირჩიეს სამი წლის ვადით. კრებამ
მთავრად სხვა-და-სხვა ცირკულიარული სა-
ხელმძღვანელო მოწერილობანი და ხელწერი-
ლი დასდგეს, რომ აღასრულებენ ეთველივე
მას შემკლებისადაგვარად. კრებაზე ბევრი ლა-
ზარაგი გამოიწვია ამ უკანასკნელად კიდევ
განმეორებითი განკარგულებამ, რომ მრევლს
უბილეთით არ გამოდრენ სამღვდელო და
საეკკლესიო მოსამსახურენო. ამ განკარგულებას
ეველა განონიერად სცნობს და მისი აუსრუ-
ლებლობა ეოვლად შეუძლებელია, მაგრამ
იმერეთის სამღვდელოება სულ სხვა ჰვირობე-
ბით არის შესრულული და ამისთვის სამ-
ღვდელოებამ ისურვა, რომ ამ კითხვას სამ-
ღვდელოების კრებაზე მიეცეს განმარტება და
ისე დაბოლოვდეს, რომ სამღვდელოება არ
იქნეს შევიწროებული...

როცა კრება ეთველივე საქმეს შორაა,
ბლადოჩინი დეკ. დ. დამბაძემ მიიქცა კრე-
ბისადმი შემდეგი სიტყვით: «წინეთაც კით-
ქვამს გაკვრით რამდენიმე დარეკებითი სიტყვა
თქვენთვის და ესლაც კთხოვთ მომისმი-



ნოთ რამდენიმე სიტყვა შესახებ ჩვენი მოვალეობის აღსრულებისა. შორაზნის საბლადო-ჩინო ოლქი ზირველი ოლქის შორაზნის მას-რამი. სულით და გულით მსურს, რომ ეოველ საქმეში ზირველი ივენენ ამ ოლქის სა-მღვდლო და საეკლესიო მოსამსახურები, დრო გამოცვალება და ჩვენც დროის შესაფერად უნდა მოვიქცეთ. ძლიერ საჭიროა, რომ ეველა ჩვენგანი დაბაკვირდეს თავის საქციელს და თუ ეს საქციელი ამდბლებს მას საზოგადოების თვალში, აერიდოს მას და ნუ ჩაიდენს. არ შეგვიძლია უუურადდებოდ დაბუროვით ზოგიერთი ძღვდლის სწორედ საძრახისი საქციელი თუთუნის წვეცისა. ზოგიერთს ისე ავიწუდება თავისი ხარისხი, რომ გამოსაჩენ ადგილზე გამოურჭვია ზირში ჰაზიროზი ან უალიონი და დიდის თავმომწონებით ეწევა თუთუნის სა-ხიზღარ ბოლს. ამის შესახებ განსვენებული ძღვდელ-მთავრის გაბრიელისგანაც იყო ფიც-ხელი მოწერილობა, რომლის ძალით ეოველი ბლადოჩინი ვალდებული იყო მოესხენებია ძღვდელ-მთავრისთვის თუთუნის მწველი ძღვდე-ლი, რომელი საბლადოჩინისისაც უნდა ეოგა-ლიყო დამნაშავე. ამჟარად შდაბლდება მოძღ-ვარი თავის სამწესოსის თვალში და გავლენას ჰკარგავს იგი, როცა ამისთანა უსარგებლო და სხეულის მანებელ მოთხოვნილებას თავს ვერ ანებებს. იტყვიან ზოგიერთები: «რა ვქნათ, ეს ჩვენი ბუნების მოთხოვნილება არისო!» ეს არაფერი თავის გამართლება არ არის. სხვა ბუნების მოთხოვნილებაც კი აქვს კაცს, მაგ-რამ არ ასრულებს. ნუ თუ იმდენად დავსუსტდით გონებით და ტკუით, რომ ზოგიერთ მანებელ და ხალხის თვალში დამაბდაბლებელ სხეულის

მოთხოვნილებას ვეღარ ვეწინააღმდეგებით? ზოგიერთი ისე არის აქოთებული თუთუნის სუნით, რომ შორიდან გრძნობ კაცი ამ სახიზღარ სუნს და კეზარება კაცთან ასლოს მისკლა. დროა ეს ცუდი ჩვეულება მოსაზოს მან, ვინც ამას მიჩვევია, თუ სურს, რომ ჰატევი და გავლენა არ დაეკარგოს სამწესოთა თვალში, დაუბტეცივით სამწესოთ ჩვენი საქციელით, რომ ძალა ვადკევართ მათზე. არის კიდევ ერთი თვისება, რომელსაც მოძღვარმა და საზოგადოდ ეკლესიის მოსამსახურემ დიდი ეურადდება უნდა მიაცვიოს, ეს გახლავს, ასე ვსთქვათ—სიდიხევი სიტყვა-ჰა-სუხში და ეოველივე საქციელში. სასულიერო ზირი ბ მოძღვარი, რაც უნდა ახალ-გაზდა იუოს იგი, მანც მსჯელობით ბ სრდილობით ძალა უნდა იდგეს თავის სამწესოზე. ამისათვის რი-ცია, რომ იგი იქცეოდეს დინჯად, წენარად და აუჩქარებულად. არაფითარი სუმრობა და ოხუნჯობა არ შეშენის ძღვდელს, ანუ გადა-მეტი სიცილი. ეველა ამისთანა საქციელი სამწესოს თვალში ამდბლებს მოძღვარს. ძლი-ერ მოტუეებულია ის, ვინც ფიქრობს, რომ სიცილით, სუმრობით და ოხუნჯობით დიდ ჰატევის დაიმსახურებს მრეველთაგანს!.. ამ მხრით სხვა ქრისტიანეთა სამღვდლოებებს დიდად ჩა-მორჩენილი ვართ ჩვენ. ამის დასამტეცივლად საჭირო არ არის უცხოეთის სამღვდლოება მოვიუჯნო, მაგრამ ვიტყვი მანც, რომ არც ერთ ადგილას არ მინახავს ძღვდელი არც კხამი, არც ვაკონში, რომ ოხუნჯობდეს, სუმრობდეს და ან სხვის სუმრობაზე და ოხუნ-

ჯობაზე ისე გულთანად იცინოდეს, როგორც ჩვენში იცანს. იქ სამღვდელთაგანთან სუბორბანს და ოხუნჯობას ვერც კი ბედავს კაცი, რადგან სერიოზულად უკავია თავი სამღვდელთაგანს. სოლომონ ბრძენი ერთ ადგილას ამბობს: „სულელი კაცი სიცილით შეიტყობა...“ თქვენც შეინიშნავდით ალბათ ცნობებებში კაცს ჩუმიდ შეოფს, რომელიც ბრძენად ჩავითვლიათ, მაგრამ ეს ახრი მალე შეიცვლიათ, როცა ამ კაცს სუბორბან და სიცილი დაუწეოა რაიმე უბრალოზე ან უადგილოდ თავშეუკავებელი მსჯელობა და ბანის გაუმართავს.

(გაგრძელება იქნება)



იმერეთის ეპისკოპოსის, ეოვლად უსამღვდელოების ლეონიდის მიბრძანება ქიათურასა და სანსურში.

ხუთი წელიწადი მეტია, რაც იმერეთის ეპარქია სოფლად მოკლებული იყო მწყემსთ-მთავრის ყურადღებას და მზრუნველობას. სოფლის ეკლესიის სამწყსოთ, ჩვეულთ აწ უკვე განსვენებულის ყოვლად სამღვდლო გამბიერის სიტყვა-მოძღვრების მოსმენას, ეს ხუთი-ექვსი წელიწადი იქნება, რაც არ სმენიათ ცხოველი სიტყვა თვისი მწყემსთ-მთავრისა. მართალია რევიზიაზედ დაბრძანდებოდნენ აქეთ-იქით, მაგრამ ამ მოგზაურობისაგან არავითარი სარგებლობა არ გამოდიოდა, ვარდა უბრალო ხარჯისა და სოფლის ეკლესიების კრებულთა შეწუხებისა. დღეს, მადლობა ღმერთს, იმერეთის ეპარქიას ეღირსა ენერგიით სავე მწყემსთ-მთავარი, რომელსაც არ ამკოლებს არც კული ტაროსი და არც მრავალნი საქმეები მისდამი რწმუნებული ეპარქიის მართვა-გამგეობის შესახებ. მათი მეუფება მზად არის გაეშუროს იქ, სადაც ვარემოება ითხოვს

მათი მეუფების მიბრძანებას და განკარგულების მოხდენას.

მთელმა ქვეყანამ შეიტყო, თუ რა სიმდიდრე ტრიალებს ქიათურასა და მის მახლობელ არემარეში. ამ სიმდიდრემ შორეული ქვეყნიდან შეპკობა ქიათურაში მრავალი სხვა-და-სხვა თემის ხალხნი. ამ აღურებელ ხალხს ქიათურაში ღღემდის არ გაანინა ეკლესია, სადაც კვირა-უქმე ღღემებში ღმერთს შევევდროს და თავისი სულისათვისაც იზრუნოს. მართლ-მადიდებელი ერი მოკლებულია არა თუ შესაფერ ეკლესიას, უბრალო სამლოცველო სახლსაც კი. კვირა-უქმე ღღემებში ხალხი დილიდამ საღამომდის ატარებს დროს სამიკიტნობესა და სასტუმროებში და ლოთობაში ფლანგავს უქანასკნელ გროშს, დღის შრომით მოპოებულს.

25 ოქტომბერს, დღით ოთხშაფათს, დილის 11 საათზე მათი მეუფება ყოვლად სამღვდლო ღმერთი მიბრძანდა სახალხო მატარებლით დ. ქიათურაში. მათ მეუფებას თან ახლდა იმერეთის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღვდელი მ. მელიტონ კელენჯერიძე. რკინის გზის სადგურზე მათ მეუფებას მიეგება ადილობითი სამღვდლოება, სადგურის უფროსი თავადი გ. ბეგთაბეგოვი, ქიათურის სამრევლო ბოქაულის თანამემწე თავადი პართენ ყიფიანი, სამრევლო სკოლის მოსწავლენი და ქიათურის საზოგადოება.

მათმა მეუფებამ შეკრებილ სამღვდლოებას და საზოგადოებას ვადასცა ლოცვა-კურთხევა. თუმცა ამ დღეს ძლიერ ცული ტაროსი იყო, მაგრამ მათი მეუფება პირდაპირ გაემგზავრა ქიათურის საეკლესიო-სამრევლო სკოლის დასათვლიერებლად. მათი მეუფება საათ ნახევარი დარჩა სკოლაში, სადაც მოუფთებელ გამოცადა უმთავრეს საგნებში. ავგრ შეიღი წელიწადი იქნება, რაც ეს სკოლა არსებობს და ღღემდის არ უხილავს თავის კედლებს შუა მღვდელ-მთავარი.

სკოლის დათვლიერების შემდეგ ყოვლად სამღვდლო წაბრძანდა მღვიმის დედთა მონასტერში. მერვე დღეს მათმა მეუფებამ სწორა მონასტრის ეკლესიაში სამრევლო სკოლების მეთვალყურის მ. კელენჯერიძის და ბლოლიჩინების მ. მ. იოსებ წერეთლის და აბესალომ ტყემალაძის თანამშრომლობით. წირვის შესრულების შემდეგ მათმა მეუფებამ



გრძობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, შემდეგ ლოცვა-კურთხევა გადასცა მონასტრის დებს, წირვაზე დამსწრე საზოგადოებას და გვეგზავრა დაბა საჩხერეში ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის დასახედავად. მათი მეუფება 26 მწიფობისთვის, საღამოს 7 საათზე ბიბრძანდა დ. საჩხერესს, საჩხერის ნოტარიუსის და ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის მზრუნველის ბ. დიმიტრი აბაშიძის სახლში. რვა საათზე მათი მეუფების წინაშე წარსდგენ აქაური ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის მმართველი და მასწავლებლები და მიიღეს ლოცვა-კურთხევა. სკოლის მმართველის და მასწავლებლისაგან მათმა მეუფებამ გამოიკითხა სკოლის საქმე: რამდენი ბავშვი სწავლობს სკოლაში, რას იხდიან სწავლის ქირას, რა საშუალებით ინახება სკოლა და სხ. მეორე დღეს, დილის რვა საათზე მათი მეუფება სკოლაში შებრძანდა და აუარებელი საზოგადოების თანადსწრებით, დაუწყა ორივე კლასებში ბავშვებს ყოველ საგნებში გამოცდა. ბავშვების ყოველ საგნებში მშენიერება ვასუხნა და მგალობელთა გუნდის ქართულ-რუსულმა გალობამ მათი მეუფება დიდად ასიამოვნა და მადლობა გამოუცხადა როგორც მასწავლებლებს, ისე სკოლის მზრუნველს.

დ. საჩხერეში მათმა მეუფებამ ყურადღება მიაქცია იმ საშუაბარო მოვლენას, რომ ამ დაბაში ერთი რიგიანი ეკლესია არა ჰქონებიათ სახელ განთქმულ თავად წერეთლებს. მართალია ამ წერეთლების მამა-პაპთა ჰქონდათ სასახლის ეკლესიები, მაგრამ დღეს ამ ეკლესიებში წირვა-ლოცვა აღარ სრულდება; ამ თავადების წინაპარი დიდ მამულებს სწირავდნენ ეკლესიებს და მონასტრებს, მაგრამ დღეს დიდებული წინაპართა შეიღონი ცდილობენ მათ მამა-პაპათაგან შეწირული ადგილების უკანვე დაბრუნებას. რა არის ამის მიზეზი? ის, რომ ჩვენს ხალხში აღარ არის ძველებული ცხოველი სარწმუნოება და ხალხიც ამიტომ გამოიცვალა. კაი ხანია, რაც საჩხერეში გარდაიცვალა ერთი დიდებული თავადი, რომელსაც მილილიონის საცხოვრებელი ღარი. ეს თავადი ითვლებოდა საქართველოში წ.-კით. გამაგრ. საზ. დამაარსებელ წევრად, მაგრამ მას ამ საზოგადოებისათვის ერთი კამეკი არ დაუტოვებია. აქვე გადაიცვალა ერთი ფრიად მდიდარი თავადი, რომელიც ამავე დაბაში დასაფლავეს იმ იმედით, რომ შემდეგ მის დასაფლავებზე ეკლესია აეგოთ, მაგრამ

რამდენიმე წლის შემდეგ მიცვალებულის გვამი ამოიღეს დასაფლავებამ და დასაფლავეს ჯრუჭის მონასტერში, რადგან მიცვალებულის დასაფლავებზე დაპირებული ეკლესიის აღშენება ვეღარ შეძლეს!.

დ. საჩხერედგან ყოვლად უსამღველოესი ლეონი 27 ოქტომბერს ქუთაისში წაბრძანდა. ქუთაურაში ჩამოვლის დროს მათ მეუფებას ხელახლა შეეგება ადგილობრივი საზოგადოება, რომელმაც თხოვა მის მეუფებას ეკლესია-სკოლის აღშენების ნება-რთვა და შეეწყობა. ყოვლად სამღვდელმ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საზოგადოების ამ ნაირ თხოვნას და ბრძანა, რათა აშენდეს ქუთაურაში სამონასტრო ადგილზე, ეგრედ წოდებულ „ქერცხელ“ ეკლესია—სკოლა. მათმა მეუფებამ ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად დანიშნა მოთავე პირნი. ამ საქმეში პირველი თაოსნობა იკისრა მღვდელმა ლავრენტი დევიძემ და ადგილობრივი შავი ქვის მწარმოებელმა ბატონმა იორდანე სიხარულიძემ. ამ პატივცემულ ვაჟარს საზოგადო საქველ-მოქმედო საქმეში მრავალი შეწირულება და სიუხვე მიუძღვის; თუმცა თითონ შინაური განათლება აქვს მიღებული, მაგრამ სწავლა-განათლების მიმდევარი და მომხრეა; ბ. ი. სიხარულიძის წყალობით ბევრ ახალ-გაზრდას მიუღია სწავლა როგორც საშუალო სასწავლებლებში, ისე უმაღლესში. იმედია ეს პირნი მტკიცედ შეასრულებენ მათი მეუფების ნდობას და ადგილობრივი საზოგადოებაც არ დაიზოგავს თავის წელიწადს ამ კეთილი საქმისთვის. მწყემსთ-მთავრის ამისთანა ყურადღებამ დამსწრე საზოგადოებას დიდი სიხარული და იმედი აღუძრა გულში.

ოცი წელიწადია, რაც შავი ქვის წარმოება არის ქუთაურაში და ამ ხნის განმავლობაში რაოდენიმე მილიონი მანეთი აღებულია და შექმულა და ეკლესიის აგებისათვის თავი არავის გამოუღვია, როდესაც ქრისტიანულ ცხოვრებაში ყველაზე უფრო დასაკლისი უეკლესიობა არის, რადგანაც სული ხორცზე მაღლა სდგას და სულის საზრდოს მხოლოდ ეკლესიაში ვპოვებთ. ადვილი მოსახერხებელი იყო აქ ეკლესიის აღშენება მაგრამ მოთავე არავინ აღმოჩნდა. ვინ მოსთვლის, რამდენი ავადმყოფი

აღსარება აუღვლეო და უზიარებელი მომკვდარა ქიათურაში და ესეც არ უქმარებით: სიკვდილის შემდეგ ოთხ-ფეხ ცხოველივით უკურთხ მიწაში ჩაუგდიათ წეს აუგებელი და უწირავ-ულოცავი; ესეები ყველა მიეწერება უეკვლესობას. მარგანეცის სინდიკატმა აღუთქვა ეკვლესიის ასაშენებლად 5000 მ. ბოლოს ღმერთმა არ დაივიწყა იმერთის ეპარქია. აწი ისეთი კუთხე არ დარჩება ჩვენში, რომ ჩვენს ყოვლად სასიქაღულო მღვდელ-მთავრის შორს გამჭირახობამ და მართლ მსაჯულებამ არ შეაშუქოს; ეს საერთო ბედნიერება წილად ხელა ჩვენს დღემდის სულიერად მივიწყებულ ქიათურასაც.



ჩემი სასისწრულო და სამწუსწარო შთაბეჭდალუბანი ეგროზის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.

(გაგრძელება*)



ანამ საფრანგეთის შესანიშნავ პარიჯზე დაიწყებდეთ საუბარს, საქიროდ მიგვაჩნია ორიოდ სიტყვა გითხრათ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, საზოგადოლად საფრანგეთის სახელმწიფოაზე.

საფრანგეთი სივრცით არის 204,000 კვადრატული მილი (ერთი მილი შეიღვერსია). ირგვლივ სივრცით საფრანგეთი 3,000 მილია. საფრანგეთის სახელმწიფოს უმეტესი ნაწილი ვაკეა, ზოგან კი მთა-გორიანია, მაგრამ ამ მთა-გორიან ადგილებზედაც მცენარეულობა არის. მთელი საფრანგეთი იყოფა 86 დეპარტამენტად, ამათ რიცხვში შედის კორსიკაც, სამი დეპარტამენტი აღვირშია. საფრანგეთის მცხოვრებნი, როგორც 1896 წ. აწერილობიდან სჩანს 38,500,000 არის, რომელთაგან ფრანგები, ადგილობითი მკვიდრნი არიან 98 პროცენტი და მათ ორი პროცენტი სხვა თემის ხალხნი ყოფილან. სახელმწიფოს მართველობა

რესპუბლიკანურია, შესდგება დეპუტატების პალატადან, რომელთა რიცხვა 584, და სენატისაგან, რომლის წევრთა რიცხვი 300-ია. დეპუტ. და სენატორები ერთად შეერთებულნი წარმოადგენენ ნაციონალურ კრებას. რესპუბლიკის პრეზიდენტი ირჩევა შედი წლის ვადით. საფრანგეთში სახელმწიფოს ხარჯი და შემოსავლის მართვა-გამგეობა თვით-ხალხისაგან აღრჩეულ პირებზეა. დამოკიდებული და მართებლობის განკარგულებით ერთი მანეთი გადასახადის დადებაც კი არ შეუძლიათ. გადასახადის მოთხოვნილების დროს, პარლამენტის დეპუტატებს უნდა დაეკითხონ და მათ დაუკითხავად არა მოხდება რა. საფრანგეთს მშვიდობიანობის დროს ჯარი ჰყავს 568,000 და ომიანობის დროს შეუძლია გამოიყვანოს გაციონალი ჯარი ოთხი მილიონი და სამასი ათასი კაცი. საფრანგეთის ფლოტი შესდგება 38 ბრონენოსისაგან, 14 გემი ზღვის ნაპირების დასაცავად და 50 კრესიერი და 300-მდე სანაღმე პატარა გემები. საჯავრო ფლოტი არის 15500 ნავები და 1,220 გემია. საფრანგეთში ყველაზე მეტი წარმოება არის აბრეშუმისა. აბრეშუმის წარმოება საფრანგეთში უფრო მეტია მთელს დედამიწაზე. აბრეშუმის წარმოების პირველი ადგილია ლიონი. აბრეშუმის გარდა სხვა წარმოება და ექვრობა არის: შალეულისა, ღვინისა, სპირტისა, შაქრისა, ბამბეულისა და სხ. მიწას მუშაობს თითქმის მთელი სახელმწიფოსი ნახევარი მცხოვრები. მეექვსედი ნაწილი საფრანგეთისა არის ტყით დაფარული. ღვინოს აწარმოებს თითქმის ორი მილიონი მცხოვრები. საზოგადოდ საფრანგეთში რკინის გზები მონობოლის წესით არსებობენ და უნდა სთქვას კაცმა, რომ სხვა რკინის გზებთან შედარებით, არ არიან საქებნი. პირველი და მეორე კლასის ვაგონები როგორც არის ვარგან, მესამე კლასის ვაგონები კი სრულდებით არ ვარგან. შეტანილ ნივთებში ყურადღებას აქცევენ უმთავრესად თუთუნს, ასანთს (сшички) და ჩაის.

ესლა შევუდგეთ თვითონ შესანიშნავი ქალაქის პარიჯის აწერას. პარიჯია გაშენებული სენის მდინარის ორივე ნაპირზე და ამნაირად მთელი ქალაქი იყოფა ორ ნაწილად, ერთი ნაწილი არის გაშენებული მარცხნივ სენისა და მეორე მარჯვნივ სენის მარჯვნივ მხარეს არის ძველი ნაწილი ქა-

*] იხ. „მწიგისი“ № 20, 1900 წ.

ლაქ პარიჟისა. ამ ნაწილში ბლომად არის დიდი ბულვარები. სწორედ უმეტეს ნაწილად ამ ადგილს გზვდება სხვა ქვეყნიდან მოსულნი დასადგომად. ამ ნაწილშივე არიან მშვენიერად მოწყობილნი სავაჭრო მაღაზიები და თეატრები. მარცხნივ მხარეს იწყება სენ-ჟერმენის გრძელი ქუჩა და სენ-მიშელისა. ქალაქის ამ ნაწილში არის პარლამენტი სენატი, ყოველ გვარი უმაღლესი სასწავლებელნი, უმეტესად აქვე სცხოვრებენ სტრუდენტებიც, ორისავე სქესისანი. ამავე ნაწილში იყო უმთავრესი ნაწილი მსოფლიო გამოფენისაც. დანარჩენი ქალაქის ადგილები მოგზაურთათვის მაინცა და მაინც დიდად შესანიშნავი არ არიან.

საფრანგეთის სატახტო ქალაქი პარიჟი პირველ შესვლაზე მნახველს არ გააკვირვებს თავისი ერთ გვარი, ყუთის მსგავსი, მაღალი სახლებით, მაგრამ კარგად როცა დააკვირდებით სახლების გემამას და ერთ რიგ სახლებს რომ სხვებს შეადარებთ, მაშინ მნახველი თან და თან განცვიფრდება სხვადასხვა გვარი მშვენიერი გემგით და მასთან გრძელი და სწორი ქუჩებით. ყველაზე უფრო განსაცვიფრებელია დათვალეირება მოედნების და მათგან ვარსკვლავის სახით მიმავალ თვალ-უწმდენულ სწორი ქუჩების: მაიღნებთან ათ-თუთხმეტ ქუჩას ერთად აქვს თავი მოყრილი და რასაკვირველია ამ თავშეყრილ ქუჩებს ისე ხელოვნურად აქვს ქუჩის გამთავეს სახლები მოწყობილი, რომ არადა მის მსგავსს არას შეხვდებით სხვა სახელმწიფოში. მშვენიერი წმიდა ქუჩები, რომლებიც დილაობით ირეცხება ბლომად მიშვეებულის მილის წყლით და რომლებსაც აქეთ-იქით მხარეს უთუთოდ მშვენიერი ხეები ამშვენებენ და აჩრდილებენ. ამ ქალაქში პირველად შემსვლელს ანცვიფრებს: თან ხმაურობა ხალხისა, ოხუნჯობა, მეგაზეთთა და სხვა განმცხადებელთა ყვირილი, მეეტლეთა შოლტის ტაკუნნი ჰაერზე, ცხენების შესაშინებლად. პირველად, იშვიათად შეხვდებით სხვაგან სადმე იმისთანა ცოცხალ ხალხს, მოძრავს და ეკლუსუცად მორთულს, როგორიც პარიჟელები არიან, მაგრამ ბოლოს ამნაირი ცხოვრება ვაბეზრებს კაცს: ყველგან, მართლია, ასე არ სცხოვრებენ, გარდა შუა-გულ ადგილებისა. ქალაქ პარიჟის აწერილობა ძლიერ შორს წაგვიყვანს და ამისათვის შემდეგში ჩვენ შევეუდგებით მხოლოდ შესანიშნავი სანახევების აღწერას.

მცირე შენიშვნა

ვინც კი ჩვენს ცხოვრებას დაკვირვებია ამ ბოლო დროს, უტკველია შენიშნავდა, რომ ჩვენ საზოგადოებაში დაიბადა ფრიად კეთილი და თანაგრძნობის ღირსი მიმართულება-გრძნობა ერთობისადმი. თუმცა გვიან, მაგრამ ქართველმა კაცმა შეიგნა, რომ ის, რაც კერძო ადამიანის ძალ-ღონისათვის სამძიმოა და მოუხერხებელი, შეერთებულ ძალას ადვილად ემორჩილება და მოსახერხებელად უჩნს. ამ მიზნით გაჩნდნ სხვადა-სხვა „საზოგადოებანი“ და „ამხანაგობანი“, უმეტესად ეკონომიური ძალ-ღონის გასავითარებლად და ცხოვრების გასაუმჯობესებლად დაარსებულნი. საზოგადო მიმართულებამ აიყოლია სამღვდლოებაც და სთქვა: „არა მხოლოდ ერთითა პურითა ცოცხალ არს კაცთა“. იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურემ მამა მელტონ კვლენჯერიძემ მიაწოდა სამღვდლოებას პროექტი წესდებისა „წმიდათა დიდთა მოწამეთა, არგვეთის მთავართა დავით და კოსტანტინესა“ სახელობაზე დასაარსებელი ძმობისა, მაგრამ, სამწუხაროდ, წესდება ვერ გამოდგა ჩვენი ცხოვრების წამდელი მოთხოვნების გეგმაზე შედგენილი და ამიტომ უმეტესობისაგან უარყოფილ იქნა ჯერ კიდევ წარსული წლის იმერეთის სამღვდლოების დეპუტატების კრებაზე. ამ კრებამე მოისმინა მეთვალყურისაგან გრძელი სიტყვა, რომელშიაც გატარებული იყო მისი (მეთვალყურის) საკუთარი მოსაზრებანი ძმობის ამა, თუ იმ მოქმედების შესახებ. სხვათა შორის, მეთვალყურემ მოკაძმობის სამისიონერო მოღვაწეობას შეეხო, სთქვა, რომ სიანებსა და სხვა, ქართველთა მოედმის თემებთან საკუთარ ენაზე უნდა მიეაწოდოთ სხვადა-სხვა ზნეობრივი შინაარსის წიგნებთა. მაგრამ კრებას ამ გვარი მოსაზრება ცოტა არ იყოს ეუცხოვა, ვინაიდან ყველასაგან უარყოფილი და ყბად აღებული აშორდომიც, მოგვსენებთა, ამ მოსაზრებით გარდა ქვეყანაზე და ბოლოს კი უკუღმართი მიმართულება მიიღო; ამის გამო და სხვა ზოგიერთი საეკუმოსაზრებათა გამოსარკვევად და გასაცნობად დეპუტატების კრებამ ეს კითხვა ღიად დასტოვა და სთხოვა შემდგენელს, რომ ეს წესდება დაბეჭდილი-

ყო გაზეთ „მწყემსში“; აგრეთვე დაბეჭდილიყო სიტყვაც, რომ უფრო ადვილად გაეცნობოდა სამ-
 დღედლოება და ყველას შეძლებოდა თავისი შესე-
 ვადლების წარმოთქმა ამ საგნის შესახებ. მაგრამ
 დღემდის არც ერთი არ დაბეჭდილან ქართულად.
 ალბად სამღვდლოების საზოგადო ხმა არ იცენეს
 ყურადღების ღირსად და ამიტომ გვერდი აუხვიეს.
 შესაძლებელია ამ შემთხვევაში სხვა რამ იდუმალი
 მოსახრება იფარვიდეს თავს, ჩვენ ეს არ ვიცით,
 ამის გამოცნობა გულის ხშიერი მკითხველისათვის
 მიგვიწვდია. მხოლოდ ჩვენ ეს კი დანამდილეებით
 ვიცით, რომ რუსულად დაბეჭდილი პროექტი წეს-
 დების გადასცეს საბლაღოჩინო კრებებს და აქაც
 უბი-ყოფულ იქმნა უმეტესობისაგან.

ჩვენც დავესწარით ერთ ამ გვარ კრებას, რო-
 მელზედაც პირველ ყოვლისა დიდს უკმაყოფილებას
 აცხადებდნენ საეკლესიო და ზოგიერთი, რუსული
 ენის არა მტოდნენ, სამღვდლო მსახურნიც, რომ
 პროექტი დაბეჭდათ რუსულად, და არა ქართუ-
 ლად, როგორც ამას მოთხოვდა თვით საქმის სი-
 კეთე და... მაგრამ დავანებოთ ამას თავი და
 ნება გვიბოძეთ ორიოდენ შენიშვნა მიესკეთ წესდ-
 ბის შემდგენელს.

დღემდის არ გავგიგონია არსად, რომ „ძმობა“,
 «მხანაგობა» და „საზოგადოება“ ძალადობით და-
 არსებულიყოს. პირ იქით შეგვიწინავეს და გვინა-
 ხავს, რომ ამ გვარი დაწესებულება წვერთა ურთი-
 ერთის თანხმობით, ძმობით, და თვით საქმისადმი
 ქეშმარიტი სიყვარულით შემდგარიყოს. ჩვენდა სამ-
 წუხარით ამ ახალ „ძმობის“ წესდების შემდგენელს
 ამ უპირადელსი პირობისათვის გვერდი აუქცევია და
 მოვალეობად უდგენს საეკლესიო კრებულის თი-
 თულ წვერს, სამრევლო სკოლების მასწავლებელთ
 და მონასტრის მნათეთ, გინდათ თუ არა, შეგაძლიათ,
 თუ არა, მინცა და მინც ნამდვილ წვერებად ჩი-
 რიცხეთ თავიო (იხ. § 8 წესდებისა). ჩვენ ამ გვარი
 ვალდებულება ძალ-დატანებად მიგვაჩნია და ძალი-
 დობა, მოგახსენებთ, არაეისათვის არ არის სასი-
 ბოვნო, მღვდელი იყოს ის, გინდ ბერი. ასეც რომ
 არ იყოს, თვით ძმობის მნიშვნელობას ამით სახელი
 თუ უტყდება და სათაკიდოდ ხდება ყოველი შეგ-
 ნებული კაცის თვალში, თორემ შემატებით, არა
 ემატება რა. ასეა ყველგან და ყოველთვის, როცა
 გარეშე ვალდებულებითი ძალა, და არა საქმის ნამ-

დელი საკიროება და მოთხოვნილება აიძულებს
 მსურველს ჩაწევროს ამა თუ იმ საზოგადოების
 წვერად, მაშინ ძმობა კი არა, მტრობა გამოიღოს,
 როგორც ეს სამართლიანად იყო შენიშნული დე-
 პუტატების წარსულ კრებაზე. თუმცა პარაგრაფის
 მეორე ნახევარი ცოტა რამ უპირატესობასაც აძ-
 ლევს სავალდებულო წვერებს, მაგრამ ეს ჩვენ საქმე-
 ში ჩატყუებით, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, გაბრიყვე-
 ბათ უფრო მიგვაჩნია, ვიდრე ნამდვილ უპირატე-
 სობად. რომ ეს ნამდვილ ასეა, ამაში ყველა ადვი-
 ლად დარწმუნდება, თუ კი მერვე პარაგრაფს გვერ-
 დში ამოუყენებ შემდეგ პარაგრაფებს: § 6, 57—
 დ, 58—ა, ბ, გ და ვ. ამათი შეფარდებით გამოიღოს,
 რომ თვითრეული სავალდებულო წვერი იხდის 15
 წლის განმავლობაში მარტო საწვეროს 2 მ. (15
 წ. X 3 მ.)=2 + 45=47 მ., ან ერთ დროებით
 თად 40 მ. ამას გარდა ჩვენ ვარაუდით ვანგარი-
 შობთ ჟურნალისა და სხვა-და-სხვა წიგნაკების ფასს,
 რადგან წესდებაში არაფერი არ არის ჯერ-ჯერო-
 ბით გამოცხადებული ამის შესახებ, თქმა არ უნდა,
 რომ ჟურნალიცა და სხვა-და-სხვა ძმობისაგან გამო-
 ცემული წიგნაკებიც სავალდებულო იქნება ყოველი
 წვერისათვის თუ არა, სამღვდლო და საეკლესიო
 მსახურთათვის მინც. ამიტომ, რასაკვირველია, ღირს,
 რომ ამათი ფასიც იანგარიშოს კაცმა. რაც უნდა
 მკირე იყოს ჟურნალის ფასი, ჩვენის აზრით, ათ
 მანათ ნაკლებ მინც აღარ ეღირება, მაგრამ რად-
 გან სამღვდლო და საეკლესიო მსახურთ ხათრი
 აქვთ, ამისათვის საანგარიშოა მხოლოდ: 8 მ.
 მღვდლისათვის და 6 მ. მღვდელთნეთა და სამრევლო
 სკოლების მასწავლებელთათვის. ამას გარდა გამო-
 ცემულ წიგნაკების ფასი საშუალო რიცხვით ჩიავა-
 დოთ 1 მ. 20% და 40% გამოკლებით ვ. ი. 80
 კ. და 60 კ. ამას რომ კიდევ დაუმატოთ 2% ჯა-
 მაგირებდან, შეადგენს სრულიად: 8 მ.+80 კ.+
 6 მ. (2% ანგარიშით ჯამაგირებიდან)+3 მ.=17
 მ. 80 კ. ეს მღვდლის გადასახალი წლიურად, ხო-
 ლო მღვდელთნის: 6 მ.+60 კ.+2. (2% ანგარი-
 შით ჯამაგირებიდან) +3 მ. საწვეროც=11 მ. 60
 კ. ახლა თქვენ თვითონ გასინჯეთ, თუ რა სამძი-
 მოდ უნდა მიიჩნიოს სამღვდლოებამ ამდენი ფუ-
 ლის გაღება ყოველ წლიურად სხვა-და-სხვა სავალ-
 დებულო გადასახადებთან ერთად. არაეისათვის არ
 უნდა იყოს გასაკვირველი, რომ საბლაღოჩინო

კრებებმა შორს დაიჭირეს ამ წესდების მიღება. ჯერ მარტო დღევანდელი საავღღებულო გადასახადები სასულიერო სასწავლებელთა შესანახავად მიიმე ტვირთად აწვეს კისერზე და ძლივს ასწორებს. ახალი საავღღებულო გადასახადიც რომ მიემატოს, უარი უნდა სთქვას უპირველესი და უსაქიროესი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებებზე და მხოლოდ წალღუნის კისერი და იმისთანა რასემში აზნიოს თავისი შემოსავალი, როგორც იქნება ახალი ჟურნალი, თუ როდისმე ეღირსა მას დაბადება ქვეყანაზე. მართლაც და რას ჰკავს ჟურნალის პროგრამა?! იგი ისე უმსგავსოდ არის შედგენილი, რომ ვერაერთად ჩვენს თანაგრძობას ვერ იზიდავს. მაგალითად: ვისთვის ან რისთვის უნდა იყოს საქირო ახალ ჟურნალში ოფიციალური ნაწილის ბეჭდვა და ისიც რუსულად?! ვინც რუსული ენა არ იცის, იმისთვის ხომ ყოველად გამოუდგვარია, ხოლო ვინც იცის, ის სანამ აქ, ქუთაისში ჟურნალის ნომერი აიწყობოდეს, მანამდე ცხრავჯერ წაიკითხავს პეტერბურლის ჟურნალებში, „Первоныя вѣдомости“-სა და „Народное образование“-ში, რომლებშიაც იბეჭდებიან უმაღლესი სასულიერო მთავრობის ყოველივე განკარგულებანი და რომელნიც საავღღებულონი არიან სამღვდელთა და საეკლესიო მსახურთათვის და მსწავლებელთათვის. ამას გარდა არიან კიდევ ადგილობრივი ორგანოებიც, სადაც ქართულად მიიწვი იბეჭდებიან ადგილობრივი მთავრობის განკარგულებანი. ამიტომ ახალ ჟურნალში ოფიციალური ნაწილის შეტანა მეტ ბარგათ მიგვანჩია და ქალაქის ტყუილა დახარჯვით. აგრეთვე არ გვესმის, რა საქირო უნდა იყოს ჟურნალში სახელდაგოგია ნაწილის რუსულად ბეჭდვა? რუსულ პედაგოგიურ მწერლობას ჩვენ ამით ვერ გვაჯივრებთ მხოლოდ ასე აქრელებული ჟურნალის გამოცემით, თავს კი შევირცხვენთ. ამ გვარა ჩიქორთული ჟურნალის კითხვა ქართული მკითხველის გრძნობასაც შელახავს და არც სხვებზე იქონიებს სასიამოვნო შთაბეჭდილებას.

ერთი სიტყვით, ეს წესდება იმდენ საქმეს ახვევს სამღვდელთა თავზე, რომ მისი გაძლიერება ამ ხანად შეუძლებელად მიგვანჩია თანამედროვე სამღვდელთა ძალ-ღონისთვის. შესაძლებელია ეს ზოგიერთებისათვის საწყენიც იყოს, მაგრამ, რა ექნათ, რომ სინამდვილე თავის-თავად ღალატებს.

დასასრულ კიდევ შეცდომად მიგვანჩია § 29 მოთხოვნილება საზოგადო ყრილობის შესახებ. საზოგადოდ ყრილობის შესადგენად მიღებული კანონიერი რიცხვით $\frac{2}{3}$ წევრებისა. წესდება კი 30 წევრით საზღვრავს და ამით, შესაძლებელია, შეცდომაში შევიდეს კაცი. საფიქრებელია, წესდების შემდგენელი თავისებური მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ამ შემთხვევაში, მიგრამ ჩვენთვის, სოფლის წევრთათვის ეს ვერაფერი სახეიროა. ალბათ უფიქრიათ, სოფლის სამღვდლოება, რომელიც უმისოდაც თავს გვაზებურებს დეპუტატების კრებებზე, აქაც საქმეს აგვირვეს, თუ ყოველთვის საზოგადო კრების დროს მათი ჩამოსვლა საავღღებულო იქნება. 30 წევრი კი ქალაქშიაც ადვილად გამოიჩინებოდა და სხვა და სხვა. წესდებაში არ არის აგრეთვე შენიშნული, რომ საზოგადო ყრილობას ნება ექნება, დამტკიცების შემდეგ, ამ წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლისა თავის შეხედულებისა და მოთხოვნილებისა დაგვარად. იმედია სამღვდლოება კარგად ჩაუფიქრდება ყოველივე ამას და ასჯერ გაზომილს, ერთხელ გასჭრის.

მღვდელი.

ბედის ჩარხი.

რაც რომ ზეცის კიბედ მწამდა, ქრისტეს მცენების შესაყვარად და სიყრმიოვან მას შეესტრფოდი სასუფეველის დასადარად

ვერ ვეღირსე, ბედს ვემდური, ვახედი ქვეყნის დასაზრახი, ჩემთვის ასე დატრიალდა უკუღმართი ბედის ჩარხი!

რაც რომ გულით მენატრება, შოვა მინდა, მესარება... ვერ ვპოულობ ვერასოდეს, რალაც შევზე მეფარება!

რაც რომ გულით მე არ მიყვარს,
მეზიზღება, მეჯავრება,
მე წყული, სად არ გინდა,
ცხვირ წინ ამომეჩარება!

ველარ მშველის: ჩემი აზრი,
სხვისი რჩევა—კანანარხი,
რადგან მრუდეთ დატრიალობს
ასე ჩემი ბედის ჩარხი!

მეგობარი გაეჩინე,
გაღუშაღე მთელად გული,
არ დამოგა შესაქმელად,
არ იწაბა ქრისტეს რაჯული!

ვისთვისაც რომ გულით მწადადა
სასიკეთო ყველაფერი,
სინიდისსა გარდაუღდა,
ისიც გახდა ჩემი მტერი.

აგერ ერთიც ლუქმას მართმევს,
თუ რომ თავი მომიარა,
მერე ვინა?—შიმშილით რომ
მოკვდებოდა, თუ მე არა...

განა მათი ბრალი არის
ჩემზე მტრობა განაზრახი?—
ბედს ვემღერი, უკუღმართად
ბრუნავს ჩემი ბედის ჩარხი!

მოთმინებით დაქანცული
ცას და მიწას შევპოტინებ,
ზეცა მისხნის ამ ტანჯვისგან,
მისს წყალობას ულოდინებ.

ბ. სავაიხელი.



ჩინელები.

დასასრული *)

ჩინელი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავისი გულის წადილი შეისრულოს და მზად არის ყოველივე დაბრკოლება სძლიოს. ვსთქვათ, შეხვდა ჩინელს ისეთი დაბრკოლებანი, რომელთა ძლევა მას ღონით არ შეუძლია, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც იგი გამარჯვებული რჩება: როცა ჩინელი ხედავს, რომ ძალით იგი ვერაფერს გაარკვევს, ეშმაკობას ხმარობს და ამ ეშმაკობით იგი ხშირად სჯობნის სუსტ ნერვიანს და თავზე ხელ აღებულ ვეროპიელს. ჩინელს გამარჯვებულად მიაჩნია თავისი თავი, თუ თავისი მოპირდაპირე მოთმინებისაგან გამოიყვანა. მართლაც მომთმენს და ეშმაკ ჩინელს ადვილად გამოჰყავს მოთმინებიდან ვეროპიელი და ამით ამცირებს იგი ვეროპიელს თავის თვალში. როცა ჩინელს არა უნდა რაიმეს ასრულება, პირდაპირ არას დროს უარს არ გეტყვით, რადგან ეს ჩინელის ხასიათს არ შეადგენს, იგი იწყებს საქმის გადადებას და ხან, ვითომ, ეს საქმე კიდევ ავიწყდება; ვსთქვათ, ძალა დაატანეს ჩინელს, რომ მან დაკისრებული საქმე შეასრულოს, მაშინ იგი ისე მოიკატუნებს თავს, თითქო მას არ ესმის ეს საქმე და ვერაფერი საშუალებით ვერ დაარწმუნებ, რომ მას შეუძლია ხსენებული საქმის გაკეთება, თუ კი მოინდომებს; ასეთ ჟიუტ ჩინელს მოთმინებიდან გამოჰყავს ვეროპიელი, რომელიც ერთს კარგად შეუტურთხებს მას და ძალა უნებურად უთმობს ჩინელს. ამ შემთხვევაში ჩინელის თვალში ვეროპიელი ჰკარგავს „თავის სახეს“, ეს იმას ნიშნავს, რომ მოპირდაპირემ შეიგნო თავისი შეცდომა, თავი დაიმდაბლა. „პირის სახის“ დაკარგვის უფრო ეშინია ჩინელს, ვინემ დასჯისა.

სიცრუე და გულ-ჩახვეულობა ჩინეთში ძლიერ გავრცელებულია. ჩინეთის მბრძანებელს მუდამ ატყუებენ მინისტრები, გენერალ-გუბერნატორები, რომელთაც აგრეთვე ატყუებენ მათი ხელ-ქვეითნი. ჩინური ოფიციალური გაზეთი „ცინ-ბაო“ მუდამ საესეა სიცრუით. მთავრობის ასეთ საქციელს ძლი-

*) იხ. „მწევესი“ № 19 1900 წ.

ერ ცული ზედმოქმედება აქვს ხალხზე, რომელიც თვითონაც ეჩვევა სიცრუეს და მზად არის მოატყუოს როგორც მთავრობა ისე ერთმანერთი; ამიტომაც არის, რომ მთავრობა და ხალხი ეჭვის თვალით უცქერიან ერთი ერთმანერთს და არ ენდობიან. ჩინელი თავის ღღეში არ გეტყვის თავის გულის პასუხს პირდაპირ.

ჩინელის საფიქრებელია მხოლოდ სმა-ჰამა. ჩინელის უმთავრეს საბაასო საგანს შეადგენს, თურა ჰამოს. ესტყვათ, ავერ ქალაქის ქუჩაზე ან სოფელად ერთი ერთმანერთს შეხვდა ორი ჩინელი. იგინი მაშინვე ფულზე დაიწყებენ ლაპარაკს და მერე სმა-ჰამაზე. ერთმანერთთან შეხვედრის დროს ჩვეულებრივად მისალმების შემდეგ—ხომ კარგად ხარ? უსათუოდ ჰკითხავენ ერთი ერთმანეთს: „შენ ხომ ჰამე საქმელი?“ თითქო მარტო ჰამა-სმა შეადგენდეს კაცის ცხოვრების უმთავრეს დანიშნულებას. ასეთ კითხვაზე უსათუოდ უნდა მიუგო: დიახ, ვიახელი. ესტყვათ, ამ კითხვაზე მიუგეთ ჩინელს, რომ თქვენ ჯერ პური არ გიქამიათ, როგორ ჰგონიათ? ჩინელი მიგვაპტიეხსთ პურის საქმელად? სრულებითაც არა, იგი მხოლოდ გამოხატავს თავის მწუხარებას, რომ თქვენ აქამომდე პური არ გიქამიათ და თავის გზას გაუდგება.

საყურადღებოა აგრეთვე ჩინელების სახლ-კარი. ჩრდილოეთ ჩინეთში უმეტესი სახლები აშენებულია გამოუწვავი ანგურისა ანუ უბრალო ტალახისაგან, სამხრეთ ჩინეთში სახლებს აშენებენ ხისას და ხან ინდოეთის ლერწმისაგან წნავენ და ტალახით ღესვენ; სახლის სახურავები ან სწორია, ან ცოტა ციკაბო. სახლები დახურულია ჭილით, ფირჩით და ჩალით და ზემოთ წაქცხებული აქვს ტალახი; საღაც წვიმები იცის, იქ კი სახლებს ხურვენ კრამიტით; მაგრამ ჩრდილოეთ ჩინეთშიაც ხშირად ძლიერი წვიმები იცის, ამ დროს ბევრგან იმეგრევა ტალახისგან აშენებული სახლები და სახურავებში ხომ ცოტა წვიმის დროსაც წყალი თავისუფლად ჩამოდის. ჩინეთში სახლებს სრულებით არა აქვსთ ჭერი და თუ სადმეა, ისიც გაცეთებულია ქაღალდისა ანუ ტილოსაგან და გაკრულია ხარისებზე; ფანჯრებს სახლებში ძვირად შეხედებით. მდიდარი კაცების სახლებში ბევრი ფანჯრებია გაცეთებული და ეს ფანჯრები დიდროვანებიც არიან, ღარიბების სახლებში ფანჯრები ცოტაა და მასთან პატარაები. უფანჯრო

სახლებში სინათლე მარტო კარებიდან შედის. უმეტესად კი ფანჯრებში ქაღალდი გაკრული; რადგან ჩინეთში ღღესაც არ იციან შუშის კეთება. სახლის კარები ხისაა. ჩინელის სასლში თავისუფლად შედის სიცოცეველა მხრიდან. მდიდარი ჩინელის სახლში იცავია გაცეთებულია გამომწვარი ანგურისაგან, ღარიბის სახლში კი მიწის იატაკია; მდიდრების სახლის კედლები ან გაღვსილია თეთრად, ან ქაღალდი მაზე გაკრული, ღარიბების სახლები შიგნით მთლად შვეარტლისაგან არის დუფრული. სახლის მთელი ნახევარი მოკავებული აქვს საწოლ ტახტს, რომელიც გაცეთებულია ტალახისაგან და იატაკზე არშინ ნახევარზე ამალღებული; ეს საწოლი ტახტი შეადგენს უმთავრეს მორთულობას სახლისას; ტახტზე დაფენილია ქილისაგან ანუ ჩალისაგან მოწული ქილოფი. ეს ტახტია კრატიც, საჯდომიც, სამუშაოც და პურის საქმელი ადგილიც, ამიტომაც ამ ტახტზე დადგმულია პატარა ოთხ-კუთხი მგიდა სიმაღლით მეოთხედი არშინი. ამ მაგიდას გარდა მდიდარი ჩინელის სახლში დგას სხვა მაგიდები, სავარძლები, მოგრძო უბრალო სკამები, კამოდის მსგავსი შკაფები და ზანღუკები უკანასკნელი ნივთები ხშირად ტახტზეა დალაგებული, ხოლო პირველნი იატაკზე; კუთხეში ტახტზე აწყვია ლეგები, ბამბის საბნები და ბალიშები, რომლებიც გატენილია ბამბით ანუ ბალახით, რადგან ჩინეთში ფრინველების ბუნტყლს და გერმას არ ხმარობენ ბალიშების ჩასადებად; საღამოობით ამ ქვესაგებს აგებენ ტახტზე, საღაც სძინავს მთელს სახლობას. ძილის დროს ჩინელები მონგოლების მსგავსად მთლად ტიტვლდებიან, მხოლოდ იტევებენ გულის საფარს და მუცლის ასაკრავს.

ჩინეთში სახლების ვაზობა არ იციან და არ რითი უნდა გაათბონ, რომ მათ სახლებში ვერ ნახავთ ვერც ფეჩებს და ვერც ბუხრებს, მასთან შეშა და ქვა ნახშირი ძლიერ ძვირია იქ. სახლში მხოლოდ ახურებენ კერას, რომ საქმელი მოამზადონ, და საწოლ ტახტს; ტახტს ახურებენ ჩალით, ფიჩით ანუ საქონლის ხელი ნავალით; ტახტის ქვეშ გაცეთებულია ფეჩი, რომელსაც მისახური კარები არა აქვს და ამიტომ ხშირად უმეტესი კვამლი სახლშია აგმდგარი. ჩინელისათვის საქონლი სითბო მარტო ღამით, მას უყვარს ძილი თბილს და ცხელს საწოლზე, ღღე კი ბამბის ტანისამოსი აცვია და ხელებს

თბოზს ნახშირით გაჩაღებულ მუყალახე. ჩინელის სახლში ზამთრობით მუდამ გამდგარია კვამლი. ზოგ სახლებში კვამლის თავიდან ასაცილებლად ტახტებს გარედგან აქვთ მოწყობილი გასახურებელი. საწოლი ტახტის გასათბობად იმდენს შეშას ხმარობენ, რომ ჩინელის სახლები კარგად ჰქონდეს მოწყობილი და შიგ გაცეთებული ჰქონდეს ფეხები, ან ხეირიანი ბუხრები, ამ შემთხვევაში მთელს ოთახებს რიგიანად გათბობდა.

ჩინელს სახლი ღამით ძლიერ ნაკლებად აქვს განათებული; უმეტესი ნაწილი ჩინელებისა ხმარობს ზეთს, რომელსაც ამზადებენ ბამბის კურკისაგან; ამ ზეთს ასხმენ ღამბაჭუხე, ღებენ შიგ ბამბის პატარუქს ანუ ერთოვარი ხის ფულს და უკიდებენ ცეცხლს. ზეთს არც კომლი, რომელიც გამდგარია მთელს სახლში და არც საკმაო სინათლე აქვს. ძლიერ მცირე ნაწილი ხმარობს ქონის მსხვილ სანთლებს, რომელსაც სრულებით არა აქვს სინათლე. სტეარინის სანთელს მარტო მდიდრები ხმარობენ, რადგან გირვანჯა სტეარინის სანთელი ღირს 50—60 კაპიკი.

ჩინილოთ ჩინეთში ხალხის უმეტესობა ცხოვრებს მიწის გამოქვაბულებში. მზავს გამოქვაბულებს აი როგორ ამზადებენ: გამოთხრიან მიწას თლიანი კარიდორის მზავსად სიმალით საყენ ნახევარს ანუ ორ საყენს, ხოლო სიგანით ორ-სამ საყენს, სიგრძით 30—40 ნაბიჯს. ასეთი გამოქვაბულები ხან გამწკრივებულნი არიან და მათში ცხოვრებენ რამოდენიმე სახლობანი. ზოგჯერ ამ გამოქვაბულებს შიგნივე აქვთ შესავალ-გასავალი კარები, უმეტეს შემთხვევაში კი ამ გამოქვაბულთ კარები მარტო გარედგან აქვთ დატანებული. გამოქვაბულის წინა პირი ამოშენებულია ანგურით ანუ მიწით და შიგ დატანებული აქვს კარი და ზოგჯერ ფანჯრებიც; ზემოთ ამოჭრილია თალი, რომ შიგ თავისუფლად გავიდეს კვამლი და თან სინათლეს ჩამოვიდეს სახლში. შესავალ კარებთან არის მოწყობილი ადამიანების საწოლი, რადგან აქ უფრო სინათლეა, გამოქვაბულის შუა ადგილს აწყობა პური და სხვა სანაჯავი; ზოგჯერ კედლის სიგრძეზე ჩაყოლებულია ბაგები და იქვე ჰყავთ შინაური ოთხ-ფეხი ცხოველები. ამავე სახით მოწყობილნი არიან სადგომი ქარვასლები ამ მღვიმეთა სოფლებში, ასე რომ მოგზაურნი დამეს ათევენ ერთსა და იგივე

სადგომებში თავიანთ ჯორებთან, ვირებთან და ცხენებთან. ყველასათვის ცხადია, თუ როგორი ჰვერუნდა იქნეს ამ სადგომებში! ასეთი სადგომები ზოგან ერთი-ორი ცალ-ცალკე, ზოგან კი რამდენიმეა ერთად. ამ სადგომი დღიუმების შემოთ არიან სახანავ-სათესი ადგილები, თივის და ჩალოს ზივნები, პურის ძნები, კალოები, ხეხილები. ყველა ესეველს სოფელს მოგაგონებს, მაგრამ კაცის სადგომებს კი ვერსად ხედავ. ამ სახანავ-სათესების მებატონენი არიან ისინი, რომელნიც ამავე ადგილების ქვეშ ცხოვრებენ გამოქვაბულებში თავიანთი ავლა-დღეებით.

საზოგადოდ ჩინეთში ძლიერ ცოტაა ღამისა შინობანი, რომლებიც საცხოვრებლად იყოს გამოსადეგი. ჩინეთის ის ზოგიერთი უცხო შინობები, რომლებსაც ხშირად ვხვდავთ სურათებიან ყურნალებში, არიან ტაძრები, ძველები, ქიშკრები, თაღები, კედლები და კოშკები, რომლებიც ჩინეთის ადგილების სურათის დასამშვენებლად არიან დახატულნი.

შურნალ-გაზმომთხილად.

გერმანიის იმპერატორის და მისი უდიდებულესობის ბრატანიის დედოფლის მთავრობათ ჰსურთ ცნვან თავიანთი სარეგულობა და უფლებანი ჩინეთში და ამიტომ გადასწვიტეს დაიცვან ჩინეთში ურთაერთ შორის შემდეგი პრინციპები:

1) გერმად ორი მთავრობისა და საზოგადოდ სურათ-შორისო ინტერესი მოათხოვს, რომ ის ჩინეთ-სადგურები, რომელნიც იმყოფებიან ჩინეთის ზღვების და შინარეგუბის ნახარებზედ უყვას მთავრობის ქვეშედა-ღამათავის დია იყვნენ და თავისუფალი საფაქრობა და სხვა კანხიერ ეკანთმიურ მოქმედებისათვის. ორი მთავრობა სდებს ურთაერთ-შორის ხელ-შეგრულობას დაიცვას ეს პრინციპი მთელის ჩინეთის ტერრიტორიასზედ, რამდენსადაც შეუძლია იქონიოს გაყენება ამ სჯინის შესახებ.

2) გერმანიის იმპერატორისა და მ. უ. ბრატანიის დედოფლის მთავრობები, რაცა პირადად მთ შეეხება, არ ისარეგებლებენ დღეინდელ საქმეთა ვითარებით და არ ეძებენ შეიძინონ რამე ტერრიტორიული უზარტუტისა ჩინეთში; მათა პოლიტიკის სჯინა, დაიცვან ჩინეთის იმპეროის დედგანდელი ტერრიტორია ხელ-უხელედად და უმედედად.

3) იმ შემთხვევაში, თუ სხვა რომელიმე მთავრობის ინსტრუქციები ჩინეთის საქმეთა ვითარებით, რათა შეიძინოს ამ გვარი ტერიტორიული უზიარტესობა, რა სახითაც უნდა იქმნეს შექმნილი ეს უზიარტესობა, ორ მთავრობას, რომელიც სდებს ურთიერთ-შორის ამ ხელშეკრულებას, ექნება უფლება წინაწინავე შეთანხმდეს იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღოს ჩინეთში მათის ზიარადის ინტერესების დასაცავად.

4) ორი მთავრობა შეატკობინებს ამ შეთანხმებას სხვა ინტერესებულ სახელმწიფოთა მთავრობათ და კერძოდ ავსტრ-უნგრეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიას და შეერთებულ შტატებს ამერიკისას. (ამ დეკლარაციაში შეცდომით რუსეთი გამოტოვებულია, შემდეგში ეს შეცდომა გასწორებულ იქნა) და ეცდებიან იკონიდ დათანხმდეს ამ ზიარებაში გამოთქმულ პრინციპებს.

დერთმა იცის, რასიანი მიმდინარეობა აქვს ელბთა და ჩინეთის წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკებას, აქვს ამას დასაწესი, ან დასასრული? კერძოდ ელბთა შორის ხშირად არის სოფელი მოლაპარაკება, მაგრამ ამასაც ექმნება, თუ არა რამე ხაუფი, არაფერ იცის. ამერიკაში კი არა სჯერათ-რა ამ გვარის მოლაპარაკებისა და არაფერს ხეიან არ მოქლან ამ დაპარაკიდან. როგორც „რანის“ კორესპონდენტი ამბობს, საქმი იმამაო, ამბობენ თურმე ვაშინგტონში, რომ მოლაპარაკების რეკიანად დაითავრებას თვით ელბები უშლიან ხელსაო. ეგულა მათგანი დასასჯელ დამნაშავეთა განსაკუთრებულ სიას წარმოადგენს ხოლმე და ამ სიაში შეაჭვთ იმათი სახელები, რომელთა ზიარადი შური და ჯიბრი სჭირთ. თუ ეგულა ეს სახელები შეაერთეს, მაშინ დაუსრულდება სია გამოვსა. ამის გამო შეერთებულ შტატების მთავრობას სურს ანდნოს სხვა სახელმწიფოთა მთავრობათ, რომ მოლაპარაკების გაჭანურებაში მარტო ჩინეთის მთავრობა არ არის დამნაშავე.

ქნელა კაცმა გამოიხდოს, ვინ ვისა სჯობია: ჩინელი მოკრიეკნი, თუ გერმანელი განმანათლებელი ველური აღმოსავლეთისა. ამის დასამტკიცებლად კმარა წავითხვა გერმანელი ჯარის კაცების წერტილებსა. ერთი ჯარის კაცი იწერება ჰეინიდან:

„დღეს სვენი იძულებულინი ვიყავით შეგვეწვიტნა სადილი და გავშურებულდითავით მატრანსებისათვის სსშევიდალ. 76 ჩინელი დავიჭირეთ ტუვედ, კადავით ერთ-მანერთხედ მათვე საკუთარი ნაწნავებით და თან წავიუ-

ვანეთ. ზოგერთმა უფრო ბოიფემა ჩვენმა ჯარის კაცებმა ისე დაუწვეეს მათ ცემა, რომ მთლად სისხლბოთ შელებეს ჩინელები. ეს საშინელება იყო. სადილ შემდეგ შევლა ტუვეებს სიველილი კადაუწვიტეს. როცა დასს-ჯადლდ წავიყვანეთ, ორი ტუვე ტაგამიტა, ამისი—შევა-ლაზედ უფრო ახლ-გულა—ცოცხლათ დავტოვეთ და 68 ცალი დავხურატეთ. ახ, როგორ ისევეებოდნენ ინტერესს! მაგრამ მალე გაისმა გვეუს, ეგულს მიჰხედათ-თხიბი ტუვეა, და უგულსა სწრაფად კადადგვიხდნენ უკან თხიბდში, რომელიც მათვე მოვათხრევიეთ წინათ. ეს იყო გვირა დღეს და ეს დღე საუკუნოდ ჩამეჭრა სსოფენში“.

შორე ჯარის-კაცი იწერება 1 ოქტომბერს ჰეინის მიდამოებ:

„საუარელო დღეა! გწერ ჩინურ კასხევე ქაღალდზედ, რადგანაც უგუთესი ხელთ არა მაქვს. ჩვენ ვდებვართ სიმიხდის უასამი ჰეინის სხლად. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, თუ როგორ ვცხოვრობთ. ცული ტუვის გამო, ჩვენს სურსათის ფურტუბით თან არა გვაქვს, ამიტომ მიმიხდისკან ისე დავილეინით, ისე გავხდით, როგორც ჩინური ხისკან გაკეთებული დმერთები... თუ რას დამსკავს აქ ამის დროს ჩვენი ხელბი, ძირფასო დღეც, ამის აწერა მე არ შემიძლიან. ისეთი ამოწვევად და სოცე-ტუვეა, რომ ენათ არ ითქმის, რადგანაც ჩინელები დგანან სურთაშორისო უფლების გარეშე ამიტომ არაფერ ტუვედ არ მიგუფავს, იქვე დაუფიანებლი თოფითა ვვლავთ, ახ ზარობანების დასზოცავად უბრ-დელ ხიტოტი ვხურტავთ. ვივრას, სადილს უკან, ჩვენ დავხურატეთ ხიტოტი 74 ტუვე. შესსარბი ამბობა იყო. ვათავებ ამ წერილს იმედით, რომ ეს ამბები დიდხანს არ გასტანს; თორემ ჩემ თავს ადამიანად აღარ ვგრძნობ“.

ახალი ამბები და შენიშვნები.

სიერცე და მცხოვრებლების რიცხვი ევროპის, ჩინეთის და ამერიკის სახელმწიფოთა: ევროპის ნაწილი რუსეთისა სიერციით არის 5,86,539 კვადრატული კილომეტრი. მცხოვრების რიცხვი 115,483,053 მილიონი.

რუსეთის აზიის ნაწილი არის სიერციით 16,023,397 კვადრატული კილომეტრი, მცხოვრებლების რიცხვი არის 13,449,764.

სრულიად რუსეთის იმპერია არის სიერციით: 21,885,936 კვად. კილომეტრი, მცხოვრებლების რიცხვი 128,931827.



ჩინეთის იმპერია მთლად არის სივრცით 11081.100 კვად. კილომეტრი, მცხოვრებლების რიცხვია 857,250,600.

მთელი ევროპა სივრცით არის 10,041,866 კვად. კილომეტრი, მცხოვრებლების რიცხვია 389,790,275.

შეერთებული შტატები არის სივრცით 9,212,300 კვად. კილოგრამ, მცხოვრებთა რიცხვია 74,389,000.

ღიაღ, საყურადღებოა საქმეა.

შორაპნის მახრის უმფროსი უკვე მოვიდა პეტერბურგიდან და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

ერთი ახალი „ექიმი“ მოვიდა ყვირილაში გვარად გაბრიქ—ძე. ეს კაცი „საღდათათ“ ყოფილა წაყვანილი და საღდაც საავადმყოფოში მოსამსახურეთ მიუღიათ. რამდენიმე ხანი ტარსიძესთანაც ყოფილა მოსამსახურეთ და ეხლა აქ, ყვირილაში ექიმობს! ერთი ვიღაც ცალ-თვალა რუსია კიდევ, რომელსაც საზოგადოება ხშირად იწვევს სოფლებში როგორც მკურნალს...

ხალხის ჯანმრთელობა სამწუხარო მდგომარეობაშია და პატრონი არაფერ არის, რომ ქსენონი დაუარსოს. გაზეთებში გამოაცხადებენ ხოლმე ხან-ლიხან, რომ „შორაპნის მახრაში ორ-სამ ადგილას ქსენონები გაიხსნება“. ესეც საკმაოდ მიანიათ! ამ დაპირების აღსრულებას ახალი ღმერთი ვერ მოესწროს, ვგონებ.

პარიჟიდან ჩვენ მოვედის ერთი ფრანგული სასულიერო გამოცემა. ამ გამოცემაში დასტამბულია ყოველად სამღვდელთა ლეონიდის და კირიონის მიხსენება საქართველოს ექსარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოების ფლადიანეს სახელობაზე, რომ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის შესრულების დღესასწაულობის სანახვოვრად დაარსებულ იქმნას ქართული ისტორიის კათედრა. ამ სტატიის შესახებ ჩვენ შემდეგ მოველაპარაკებთ მიკითველებს.

რექტორი თფილისის სემინარიისა არხიმანდრიტი გერმოგენი, როგორც სმის, ქორ-გისკოპოსად დაინიშნა სარატოვის ეპარქიაში და რექტორად თფილისის სემინარიაში დაინიშნა ინსპექტორი ამავ სემინარიისა არქიმანდრიტი სტეფანე (არხანგელსკი).

ჩვენ შევიტყვეთ, რომ იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების კრება მოხდება შუა დეკემბრამდის, ამ კრებაზე სამღვდლოების დეპუ-

ტატებს დიდი გამჭირაობა მართებს, რადგან კითხვა იქნება აღძრული ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გაყოფისა და ეპარქიალურ ქალების სკოლაში პანსიონის დაარსების შესახებ.

როგორც ივერიაში შეუტყვია, ბ. ი. როსტომ-შვილს ახალი რუსულ-ქართული ჟურნალის გამოცემის ნება მიუღია, რომელსაც სახელად „მოგზაური“ ეწოდება. ეს ჟურნალი შემდეგის პროგრამით გამოვა იანვრიდან: 1) მოგზაურობანი, აღწერილობანი, მოთხრობები, ლექსები, პოემები, გადმოცემანი და სხ. საეთნოგრაფიო, საგეოგრაფიო და საისტორიო-საარქეოლოგო შინაარსისა, სურათებითურთ; 2) მეთაური წერილები აღნიშნულ საგნების შინაარსის შესახებ; 3) ცნობები კერძო ძაცთა და საზოგადოებათა მოქმედების შესახებ რუსეთში და საზღვარ-გარეთ (იმავე შინაარსისა); 4) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (იმავე შინაარსისა); 5) ნარევი (იმავე შინაარსისა); 6) დამატებანი (პროგრამის შინაარსიდანვე) და 7) ყოველ გვარი განცხადებანი.

ჟურნალი ყოველთვიური იქნება, გამოვა 16—64 გვერდამდე; ფორმატი „ჯეჯილისა“ ექმნება და წლიურად ედირება 5 მან., ხოლო ნახევარის წლით—3 მან. როგორც თითონ ბ-ნმა როსტომ-შვილმა გადმოგვცა, სურათები ჟურნალში ფოტოტიპით იქმნება გამოყვანილი.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქუთაისის ქალაქის თავი ბ. ლოლუა ამ მოკლე ხანში პეტერბურგს აპირებს წასვლას, რათა იზუამდგომლოს მთავრობის წინაშე და მალე იქმნას დამტკიცებული გეგმები და პროექტები ქუთაისში წყლის მილის და ელექტრონის ტრამვაის გაკეთების შესახებ. როგორც „ნოვობოზრ“-ს ვაუგონია, ბ. ლოლუა პეტერბურგს ინე მიზანღოვან ხარჯთა მიღის, რომელსაც ქალაქმა გადასცა კონცესია ყველა ზემოხსენებულის გაკეთებისთვის.

ამ დღებში ტფ. მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა 128 წლის მოხუცი, მილიციის პორუჩიკი ტარიელ კვალაშვილი. ოფიცრის ჩინი გარდაცვალებულმა მიიღო 1822 წელს მთიულთა წინააღმდეგ ომში.

მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ორ
კვირულ გამოცემათა ქართულს

„მწევეს“-ზე

დ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თეთი «მწევესია» 3 მ. | 6 თეთი «მწევესია» 2 მ.
— ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.
— ,, ორივე გამოცემა 5 მ. | — ,, ორივე გამოცემა 3 მ.

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც
ეგირაღაშში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის
მანაზაშვი, ბ. შიო ქურუკაშვილთან. ფოთში—დეკა-
ნოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში—ყარაახან
მხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან,
ახალყენაგში—ბლაღოჩინ მახა არისტარქ კალანდარი-
შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიბთ გაზეთები დაეთმო-
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქცია აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილ-
ბის სახლებში და ეგირაღაშში რედაქტორის საკუთარ
სახლებში.

ზარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარებთ შეუძლიათ
ამ აღრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты и
журнала „МЦБЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამ-
დენიმე სრული გამოცემანი „მწევესი“-სა, რომელ-
ნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1891 წლის ხელის მოწერით პრემიად (საჩუქ-
რად) აქვსთ დანიშნული დიდი სურათი ყოვლად
სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორც
არინან შოთა რუსთაველისა და თამარის.

ქაქაძე საავტომოტორო ანგულ აბორიითურთ ს. გ. თოფშჩიკის.

ქ. ქუთაისში.

სავაჭაროში დგას ო რ მ ო ც ი საწალი.
ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით
ავაჭაროვთათვის. მუწუკებიანი და ვადამდეგი სენით
ავაჭაროვნი არ მიიღებინან, მოსიარულე ავაჭაროვ-
ნი მიიღებინან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3
საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავაჭაროვებს მიიღებს
მ. ს. ბ. თოფშჩიკი.

ქირირგიურ შარდით სიფილისით და თვალების
ავაჭაროვობისათვის.

მ. შ. კ. ზარბაზი.

დედაქაყურ ავაჭაროვთა და საბებიო ქალი.
მ. შ. შ. კოხანი.

წიგნა დარეგების ფასი 50 კ., კონსი-
ლიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა სა-
ავაჭაროვოში სრული ხარჯით და ექიმობით
2—3 მანეთამდე. ანგულაციის ფასი გარეგებასა.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფშჩიკი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: რედაქციისაგან.

—გენათის მონასტრის შეკეთება-გამწვევების საქაროვება.—
შორაპნის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოების კრება დაბა
ყვირილაში ოკტომბრის 12-ს 1900 წელსა.—იმერეთის ეპისკო-
პოსის, ყოვლად უსამღვდელოესობის ლეონიდის მიზრძანება
ქიათურაში და საჩხერეში.—ჩემი სასიხარულო და სამწუხარო
შობაბედობებანი აზიის და ევროპის სახელმწიფოებში მოგზა-
ურობის დროს.—მცირე შენიშვნა.—ბედის ჩარხი (ლექსი).—
ჩინელები.—ქურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენი-
შვნები.

განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლაშაშვიდი.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлиса, 15 Ноября 1900 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елисов

Типог. редакція журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) вь Кутаисѣ, вь д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.